ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№ 23-070403

ქ. თბილისი 7 აპრილი 2023 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ „გიორგი მეზურნიშვილი“ (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6. „სამუშაო დღე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;
1.7. „ელექტრონული ხელმოწერა“ - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;
1.8. „ელექტრონული შტამპი“ - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;
1.9. „ხელმომწერი“ – ფიზიკური პირი, რომელიც ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტს ელექტრონულად აწერს ხელს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით საკვალიფიკაციო ცენტრის Moodle-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა (შემდგომში - მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV72261000.
2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერის პირობები მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2869.92 (ორიათას რვაასსამოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი)** ლარს, საშემოსავლო გადასახადის და საპენსიო დანარიცხის გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო თანხის მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს განახორციელებს, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს IT სპეციალისტი - ზურაბ თოდაძე.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება რათა გაწეული მომსახურება შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებს.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

6.4. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს IT სპეციალისტი - ზურაბ თოდაძე.

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16.

7.2. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

8.1.1. მომსახურების გაწევისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

8.1.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

8.2.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

8.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
8.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
8.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
8.4.1. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
8.4.2. ხელი შეუწყოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებისას;
8.4.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტოვირებული პასუხი ყველა საკითხზე;
8.4.4. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს ოდენობით.
9.5. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინის შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).
9.6. მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5.მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად თუ:
10.6.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
10.6.2. მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
10.6.3. ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;
10.6.4. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.6.5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება
10.6.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
10.7.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. კონფიდენციალურობა

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია, რომ კეთილსინდისიერად გამოიყენოს და არ გაავრცელოს, ნებისმიერი გზით თუ სახით, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მომენტში ან ნებისმიერი სხვა გზით.
12.2. კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად გამოიყენების ან მისი გავრცელების შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1 – 12.1 პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას წინამდებარე ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

12.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მასზედ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია იქნება შესაბამისად შენახული და მათზე წვდომა ექნებათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. უფლებების გადაცემა

15.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

15.3. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება
წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

15.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელნიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. შეტყობინების განხორციელება

16.1. შეტყობინებას, ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, ელექტრონული ფოსტის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

16.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96,

ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), ზურაბ თოდაძე (ტელ.: 599 87-75-44; ელ. ფოსტა: ztodadze@lta.gov.ge) მიმწოდებლის მხრიდან გიორგი მეზურნიშვილი (ტელ.: 599 14-28-28, ელ. ფოსტა: gmezur@gmail.com).

16.3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

17. დამატებითი პირობები

17.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

17.2.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2023.04.07 16:02:34

მიმწოდებელი:
ფ/პ „გიორგი მეზურნიშვილი“
მის: ქ. თბილისი, გ. რომელაშვილის №29, ბ. №2
პ/ნ: 01021015340
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE97BG0000000672916000

ფ/პ „გიორგი მეზურნიშვილი“

Giorgi Mezurnishvili 01021015340
Digitally signed by Giorgi Mezurnishvili
Date: 2023.04.07 16:43:32

დანართი №1

ტექნიკური მხარდაჭერის პირობები

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. სერვისის პლატფორმა

ტერმინი „სერვისის პლატფორმა“ ნიშნავს Moodle-ის სისტემის მუშაობისთვის საჭირო ოპერაციული სისტემა - Cent OS-ი და მასზე დაინსტალირებული შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფას:

-Apache 2;

-My SQL.

1.2. ტექნიკური მხარდაჭერის პირობები

„ტექნიკური მხარდაჭერის პირობები“ ნიშნავს მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების აღიარებას შემსყიდველთან მიმართებაში, რომელშიც შედის:

- აღმოფხვრას და ლოკალიზაცია გაუწიოს ნებისმიერი სახის გაუმართაობას, თუ ის გამოწვეულია მიმწოდებლის ან/და შემსყიდველის ან/და მესამე პირის ბრალეულობით, ან მიაწოდოს ინფორმაცია, გაუწიოს კონსულტაცია შემსყიდველს, გაუმართაობის შესაძლო მიზეზებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ;
- ერთჯერადად Moodle-ის პროგრამის მთლიანი (სისტემის ფაილები, მონაცემთა ბაზა და სხვა) სარეზერვო ასლის მოწოდება;
- სარეზერვო ასლების შექმნა კვირაში ერთხელ და გამოგზავნა, მეილზე (ztodadze@lta.gov.ge) ან Google Drive-ს საშუალებით;
- Moodle-ის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა;
- სისტემის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა;
- პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
- პროგრამაში წვდომების განსაზღვრა;
- SSL სერთიფიკატის დაყენება;
- სარეზერვო ასლების სისტემების დანერგვა შემსყიდველის მიერ გამოყოფილ მოწყობილობაზე და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში Moodle-ის პროგრამული უზრუნველყოფის შემსყიდველის სერვერზე განთავსება და გაშვება.

1.3. სამუშაო დრო

ტერმინი „სამუშაო დრო“ აღნიშნავს 9:00-დან 18:00-მდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა ოფიციალური დასვენების დღეებისა.

2. ტექნიკური მხარდაჭერის პირობები

2.1. მიმწოდებლის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების განხორციელების შემდეგ.

2.2. შეტყობინების განხორციელების და მასზე ტექნიკური მხარდაჭერის რეაქციის დრო მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

განაცხადის მიღების არხი	**მიღების დრო**	**რეაქციის დრო**
ტელეფონი 599 14-28-28 **ელ-ფოსტა:** To: gmezur@gmail.com	სამუშაო საათები	20 წთ

2.3. მიმწოდებლის მხრიდან განაცხადის შესრულების დრო მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

განაცხადის საგანი	**გადაწყვეტის დრო**
ავარია - მომსახურების პლატფორმის შრომის უნარიანობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეფერხება. შეფერხება არ აღმოიფხვრება სისტემის გადატვირთვით.	მიზეზის დადგენისა და მისი აღმოხფხვრისათვის საჭირო დრო - არაუმეტეს 2 სთ-სა.
უმნიშვნელო გაუმართაობა - სისტემის ფუნქციის მუშაობის უმნიშვნელო ხარვეზი, რომელიც გავლენას არ ახდენს მუშაობის საკვანძო პროცესებზე.	1 სამუშაო დღე
კონსულტაცია - შემსყიდველის წარმომადგენლის მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირება, გამოხატული მოკლე განმარტებებით და დაწვრილებითი ინფორმაციის წყაროს ლინკების მითითებით მიმწოდებლის საიტზე ან/და სხვა წყაროს მითითებით.	1 სამუშაო დღე